

საქართველო

გაზეთის № 180

სირსათავისი დამატება



გვირა, 20 სეპტემბერი 1915 წ.

დამატების № 28

სამშობლო — ღია მეურნის მუზეუმი, არ გაიცვლების სხვაბზე,
ორივ ფერილია, მშობლით, მირჩევის ორსაკ თვალზე,
როგორც უფრო უფრო, სამშობლოც ერთია ძველი ძალაბზე.



სამსონ ხანიძონის ემ შვანია.
უგზა უგვიანო დაკარგული გაღიცაში შემ-
სდარ დიდი ბრძოლის დროს.




პოლკორნერი იოსებ (იო-
სერგი) პოსტანტინეს ემ რი-
შავაძე.

მოკლეულია ასმალებთან ბრძოლის
დროს 24 ივნისს დაჯილდებული
იყო ანას ჯვრით.



ალექსანდრე ერმილეს
ემ ჭალიძე.
კარპატებიდას ტევეთ წაუგანი-
ლია აუსტრიაში.



ჩეხი ნიკიერი ახალგაზლა მომიდერალი
გარდენ ლორთიშვანიძე.
(გუშინდებული კონცერტის გმო)



ა. მ. პიპიზული.

დაქანილია გერმანებთან ბრძოლის დროს
სუბალგისთან 22 სექტემბერს. მეორეთ დაქან-
ია ასმალებთან ბრძოლის დროს 28 ივნისს.

პოლკორნერი შარებიშვილი.

დაქანია გერმანებთან ბრძოლაში. შორჩენის
შემდგა გაგზავნეს კაუკასიის ასპარეზზე, სა-
და შეორეთ დაქანია თავში.



მ ე პ ე პ ა რ!

მე აქა ვარ; არსად მივალ, ფრთას არ ვისხამ გასაფრენად,
არც მზეს ვუხმობ, არც მთვარესა, საალერსოდ, საკოცნელად!

მე აქა ვარ! მიწის შვილსა მსურს მიწაზე გავიარო,
ამოვწუწნო მიწას შხამი, ბოროტება ვაღვიარო.—

და ბრძოლისა იალქანი მაღალ სალ კლდეს დავაჯახო,
და ჯაჭვებით დახლართული ტანჯვის მთები გადავლახო,—

და მის სივრცის თვით-მშეკრობელი დევთა რაზმი ძირს დავამხო,
დავამსხრიო ბოროტება, ნატვრის თვალი დავინახო!

მე აქა ვარ! — გესმისთ, — აქ ვარ! ფრთას არ ვისხამ გასაფრენად,
არც მზეს ვუხმობ, არცა მთვარეს საალერსოდ, საკოცნელად!

მიწის შვილი, მიწას ვამკობ, მიწას ვუმღერ სულთათანას,
არ ვშორდები მე შავმიწას და მას ვუმხელ ჩემს გულისთქმას.

ვერა ხედავთ: — შავს მიწაზე სისხლი მიღის ვით ანკარა
და ცხოვრებამ უკულმართმა აგვაოხრა, გაგვამწარა!

ცოლი ქმარსა და დედა შვილს გააშორა და გაჰყარა
კლდე ღრეულში უპატრონოდ აფთრის ლუქმად რომ დაჰყარა,

წამოჰყვება ცრუ სიზმარსა, ხედავს პური აღარ არი
და ცრემლები თვალებიდან სცვივა, როგორც ნიაღვარი.

ვნახე ერთხელ მწვანე ბაღში კონკში გახვეული ქალი
ბავშვი ახლდა მას პაწაწა, თვით ცრემლს ღვრიდა საცოდავი

შიველ ახლოს, დავეკითხე: რა გატირებს ასე, ქალო?
პასუხი ვერ მოახერხა და წარმოსთქა: „ჩემო თავი!“

და განაგრძნო მან სლოვინი, ვით ანკარა ღვრიდა ცრემლებს,
შიმშილითა ძალ მიხდილი, ძლივს ახელდა ყვითელ თვალებს.

თურმე ქმარი საცოდავსა ბრძოლის ველზე გაუგმირეს
და ამგვარად დედა შვილსა ყოფნის დღენი აუტირეს.

არვინ არის გამკითხავი, უპატრონო, — თუ სად არი,
მიწამ გულში ჩაიხუტა, თუ დაღმუის თავს აფთარი.

ვნახე სოფლის განაპირას ქოხში ქალი თმა-ჭალარა
სახე ჰქონდა დასერილი, სჩანდა ტანჯვა გაეარა,


წელზე ხელი შემოედო, გაჰყოდა გამალებით,
ხსნად იშვევდა ქვეყნის ღმერთებს, ჩამომდნარი ცხარე ცრემლით.

ამ დროს ბრძოლის ქარტეხილში ახალგაზდა კაცი ვინმე,
განგმირული ველზე ეგდო, არა ჰყავდა გვერდით მოძმე,

ვინ იცის, თუ იმ ბედ-შავმა რა ტანჯვები გაიარა
ან რა ცეცხლმა გაჭირვების იმის თავზე გადიარა!

და ეს ტანჯვა საზარელი მსურს რომ ქვეყნად ვალიარო,
მეზიზლება ცის ტატნობი, მეზიზლება ცის სამყარო!

მე აქა ვარ! გესმისთ? აქ ვარ! ფრთას არ ვისხამ გასაფრენად,
არც მზეს ვუხმობ, არცა მთვარეს საალერსოდ, საკოცნელად!



ქავებსის მსროლებთა ბრძანდის კამანდით,
პარას ბეითადი და სანატარეფი ექიმები დ.
გაზნიდან გადან.

ჭარაში დაბანა ექიმების და
ჯარის კაცის ტახისამთხმი, ექიმი, ბეითადი
აფიცერი და საქმის მწარმოებელი ისეკებნ.

ო ლ ი მ პ ი ს მ თ ა ზ ე.

ოლიმპის მთაზე შევდექი, მზე სხივს მიწნავდა ჰანგათა,
მზის ელვარება სხივ-გაშლით ხელში მეჭირა ჩანგათა.
ჰანგზე ღნებოდა სრულ-ყოფად ლოცვები ღელვილ სულისა,
როს ხმა მომესმა მწუხარე ღავრდომილ-დაქანცულისა:
„ლოცვად დამდგარხარ, კაბუკო, ცრემლებს ღვრის საქართველოო,
ეგ შენი სულის კერპია და შენი სამლოცველოო“
ვიცან ჯვარცმული ქვეყანა სისხლის ცრემლებში სცურავდა,
ფრთებ გაშლით შავი წყვდიადი სევდის მანტიათ ჰბურავდა...
ვსოდეთ: ჩემი წმინდა ლოცვები, ლოცვები ღელვილ სულისა,
დე ჩემს ქვეყანას მოვფინო ვით ჰანგი გაზაფხულისა.
ოლიმპის მთაზე ლოცვებს ვქმნი, მზე სხივებს მიწნავს ჰანგათა,
სამშობლოს ცრემლი სხივ-გაშლით ხელში მიჰყრია ჩანგათა...
—
ლადო მაჭვევარიანი.

მ ე გ ო ბ ა რ ს.

I.

მეგობარო, მიპასუხე, რად გიკვნე ის გული,
მიპასუხე, რისთვის მოგჩქებს თვალთვან სინანული?
ტლანქმა ძალამ ცხოვრებისამ შენც დაგასო დანა,
დაგავიწყა სამშობლოც კი და მთელი ქვეყანა?
დაგიკარგა ნათესავი, მეგობარი სულის,
მისთვის მოგჩქებს თვალთაგან ცრემლი სინანულის?

ნუ, ნუ კვნესი, მეგობარო, შესწყვიტე ეგ გლოვა,
წარსული ღრომიდის, ჰქენება, არა ღროს არ მოვა,
გულს ჩიკალ, გულს ჩიკალ განცდილ

ტანჯვად ხსოვნა,

შეისმინე, თუ ძმობა გწამს, ეს მუდარა თხოვნა:

აბა მარქვი, რას, რას მოგცემს ცრემლის ზღვა
მდუღარე, მერწმუნე, რომ მით გემატეის სულსა სევდა მწარე.

ზღვა ბობოქრობს... გიუ ტალღათა გესმის
თრთოლვა-ქშენა?

მეგობარო, შევისწავლოთ ტალღათ ჰანგი, ენა.

ბრძოლის ცეცხლით სულ-გზნებულნი, ვით ზღვა
გულ-მღელვარე, შევებრძოლოთ მწარე ცხოვრებას, მოესპონ

სიმწუხარე, და მერწმუნე, რომ ბრძოლაში ჰპოვებს შვებას
სული,

ბრძოლაშია ხსნის სიმბოლო ნაქსოვ-ჩამარხული.

II. ს უ ლ ი ს ღ მ მ რ თ ს.

სულის ღმერთო, ღიღხანს გძებნე და ვერ გპოვე,
სულს მოსწყინდა, ტანჯვათ ექცა სიმარტოვე.

ცა და მიწა მოვიარე და ვერ ვნახე
სახე შენი, ვით ვარსკვლავი, მოკარნახე.

შენოვას ვთხზავდი უცხო ზლაპრებს, ლოცვას

ციურს,

შიგ ვაწნავდი სულის ლტოლვას ტიტანიურს;

შენოვის ვლვრიდი შვალამისას ცრემლებს, სულო,
ჯერ ჩემს თვალთვან არ ხილულო, არ ნახულო

შენსა სულსა შეუერთე ჩემი სული

და აცოცხლებს მას უკვდავი სიყვარული.

უამთა სრბოლა, რისხვა ცისა, ბეღით კრულსა
ვერ ჩამომხეთქს მე თვალთაგან სინანულსა.

და კვლავ გძებნი.. და თუ შენი, სულო, სახე
მოციმციმე, ვით ვარსკვლავი, ვერსად ვნახე,

სამარეში თან ჩამყვება ტრფობა შენი,
ვით ლაუგარდი, მხიარული შუქთა მფენი.

ალ. რიონისპირელი.

ბ ე ღ ე ლ ო.

ძ ვ ე ლ ი ს ძ ვ ე ლ ი ა მ ბ ა ზ ი პ ი ს.

(ის დამატება მე-27 №).

III.

კარგა ხანი გავიდა. მამა კირილე ერთს საღამოს ცხენით სამაზრო ქალაქიდან სახლში ბრუნდებოდა. მშვენიერი შ მოდგომის საღამო იყო. წყნარი ბუნება. გრილი შემოდგომის სიო ათას-გვარ ფიქრებს უძრავდა მამა კირილეს, წყნარი, ნელი მიაბიჯ ბდა ცხენი, კირილე არ ჩქარობდა და ათასგვარ მწარე ფიქრებში იყო გართულ . აგერ თოხი წელიწადი მეტი იყო, რაც გძელში გამწერეს მღვდლიად, აი, ამ თოხ წელ წასლ თვალისწინებდა კირილე, აი, ამ განვლილს თოხ წელიწას აძლევდა ანგარიშს და ათასი მწარე ფიქრები ერეოდა თავში.

— ეჱ, წარმოსთქვა ბოლოს თავისთვის კირილემ, ქალაქზე ნაწერის ინსტრუქციებით და სქოლასტიკურის პოლემიკით შეიარაღება სრულიად საკმარისი არ ყოფილა იმ მისის მისაღწევად, რისთვისაც მე აქ გამომგზავნეს. აბა დახედეთ მაგ ხალხს, რა მეგონა, რომ მე განათლებულსა და განსწავლილს, უბრალო გაუნათლებელს, ნახევრად თითქმის ქრისტიანს ხალხში ვერაფერს გავაწყობდი, ვერ დავითაბირებდი, ვერ დავაჯერებდი, რომ ძველ მამა-პაპათა სარწმუნოება მიეღოთ. როცა უცელა ამან ვერ გასჭრა, მაშინ ხომ ეროვნულს ნიადაგზე დავუწყევი ქადაგება, ქართველს კაცს ენით, ჩევულებით, ჩატანა-დახურვათ და ყველა იმით, რითაც კი ქართველი ერი განსხვავდება სხვა ეროვნან გარდა სარწმუნოებისა, ვერ მოვაქციე და სწორე გზაზე ვერ დავაყენე. რათა? რისთვის ხდება ასრე? ათასჯერ და ათიათასჯერ ეკითხებოდა თავისს თავს კირილე. ათასჯერ ითვალისწინებდა განვლილს თოხ წელიწადში თავისს მოქმედებას, მაგრამ ვერა და ვერ მიმხვდარიყო და ჯეროვანი პასუხი ვერ ეპოვნა. მოლას, შეუგნებელს, განუვითარებელს, რომელმაც ყორანის ხეირიანად წაკითხვაც კი არ იცის, ნუ თუ ჩევნზე მეტი შესძლებია, უნდა ჩი-მოგვაცალოს ჩვენი ძმა, ჩვენი ღვიძლი და სისხლ-ხორცი, იმის სიტყვას უყურებენ, უსმენენ და უკან მისდევენ. რათა ხდება ასე? კიდევ ათასჯერ აძლევდა თავისს თავს ამ საჭირობოროტო საკითხს და პასუხი კი ვერ ეპოვნა. უფრო დასაღონებელი ის არის, რომ აქნობამდის ქართული მოსაუბრე, ქართულის ზენისა და ჩვეულების პატრონი, ყველა ამასა სტოვებს და სულითა და გულით თათრდება. თჲ, რა გულსაკლავია ეს სურათი! გაივლის რამდენიმე ათეული წელიწადი და— აი ამ სოფლებში, მღვდელმა გადახედა გზის პირად მდებარე რამდენიმე სოფელს, სრულიად მოისპობა ქართული ენაც, ქართული ჩვეულებაც და მათ მაგიერ სულითა და ხორცით გათარებულა ქართველები და შეგვრჩება ხელში, რომელთაც იმდენი ეცხებათ

რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ციცაძე.

ქართველობისა, რამდენიც მე ახლა ჩინელებისა. მღვდელი უფრო გაიტაცა ამ მწარე ფიქრებმა. უფრო გართულდა საკითხი, უფრო შავის ღრუბლებით შეიმოსა მისი ფიქრი და აზროვნება.

მიღის მღვდელი მწარე ფიქრებში გართული და ვერც კი შეამნია, რომ მახლობელი ტყიდან ორი ყაჩალი გამოვიდა, მიუახლოვდა და ცხენი გაუჩერა.

— ქეშიშ! გადმოდი ცხენიდან, ამოილე რაც ფულები გაქვს, ჩამოიხსენ საათი და მოგვეცი, თუ გინდა, რომ ცოცხალი გაგიშვათ.

მღვდელი სახტად დარჩა, ვერ გაეგო რა ამბავი ხდებოდა და მხოლოდ როცა ძალზედ შე არა-ღებულ კაცებს დააცემადა, მაშინ მიხვდა, რომ ყაჩალებთან ჰქონდა საქმე. სკალა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ყაჩალებმა საჩქაროდ მიაძახეს:

— ჩქარა აასრულე, რასაც გიბძანებთ, თორემ ამ ტყეში გეგიყვანთ და უსულოდ გაგიშვებთ.

მღვდელი დანებდა და ყაჩალებიც, მიღის თუ არა რაც უნდოდათ, ისევ ტყეს მიეფარენ, მღვდელი კი ჩქარს ნაბიჯით სოფლისკენ გამოიქცა შე-შინებული, ფერმიხდილი და გულგახეთქილი გა-ძახდა:

— ჩქარა, ჩქარა უნდა გავეცალო აქაურობას, თორემ საქმის გაკეთების მაგიერ, მე თვითონ გავხდები სხვერპლი მუსულმანთა ფანატიზმისა. ეგსულ მაგ გძელელი მუსულმანების საქმეა, მაგათი ეგენი აღარ მომისვენებენ, თუ ჩქარა თავი არ და ვალწიე აქაურობას. ათასჯერ იმეორებდა ამ სიტყვებს გულში მამა კირილე და თან შეშინებულ აცახცახებული გარბოდა, რომ ჩქარა მისულიყო სახლამდის და გული დაემშვიდებინა.

ორი კვირის შემდეგ მამა კირილე გზას გაუდგა და სამუდამოდ მოშორდა იმ სოფელს, სადა გამწერება ისე უხაროდა და დაპირებულ ჯილდო სიც სიხარულით მოელოდა.

განშორდა სოფელს, მაგრამ მისგან ერთხელვა აშენებული კედელი უფრო და უფრო მაგრდებო და გონივრდებოდა. მუსულმანებმა ვენახებიც გაჩეხეს, ქვევრებიც ამოკყარეს, პურის ცხობაც თაო რულიად დიწყეს და ქალებსაც ახლა თათრებში თხოულობდენ და ზოგმა უკიდურესმა ბავშებიც ქიდრებით თათრებში გააბარა, რომ ჩქარა დავიწყებოდათ სამშობლო ენა.

კედელი თან-თან მაღლდებოდა. მოჩიტჩიფე წელ ში მოხრილი დიაკვანი კი განზე იდგა გულჩათურ ქული და გულზე ხელდაკრეფრლი უმედოთ ღ გასცემრიდა სოფელს.

ედილი.

— დისტანცია.